სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

ლევან გვიჩიანი[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.12

სვანეთის და აფხაზეთის საზღვრისპირა ტოპონიმიკური ძიებანი[2]

აბსტრაქტი. ჩვენი ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ და გავაანალიზოთ საქართველოს ორი ისტორიული მხარის - სვანეთისა და აფხაზეთის საზღვრისპირა ადგილების ტოპონიმიკური ინფორმაციის შემცველი საბუთები: საეკლესიო ოთხთავები, ლექციონარების არშიებზე მინაწერი წერილობითი ცნობები, ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალები. კვლევა ფოკუსირებულია სვანეთისა და აფხაზეთის ისტორიული საზღვრების დადგენის, საუკუნეების მანძილზე ცვალებადობის და ამ კონტექსტში ურთიერთობის საკითხებზე. კვლევამ გამოავლინა ახალი გარემოებები „თავისუფალი სვანეთის“ საზღვრების შესწავლის, აფხაზეთთან სასაზღვრო ტოპონიმების, მიწისმფლობელობის შესწავლის საკითხებში. ცნობები გამოირჩევა ტოპონიმიკური ერთეულების სიუხვით, რაც დაგვეხმარა მათი ლოკალიზაციის, ონომასტიკური ძიებისა და სასაზღვრო ზოლზე არსებული ადგილების დაზუსტებაში.

ნაშრომში გამოყენებულია წყაროს კრიტიკული ანალიზისა და ისტორიულ - შედარებითი კვლევის მეთოდები. ნაშრომის მეცნიერული სიახლე, ეფუძნება სვანეთში დაცული წერილობითი წყაროების შესწავლასა და გაანალიზებას, რის საფუძველზე მოხდა, ტოპონიმიკურად საზღვრების შემცველი

---

[1] **ლევან გვიჩიანი**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი.

[2] მოხსენება წარმოდგენილი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე *„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი, კულტურის ძეგლები“*, რომელიც აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა 2022 წლის 8-9 დეკემბერს.

წყაროების ცალკე ჯგუფად გამოყოფა და სვანეთის ჩრდილო - დასავლეთით აფხაზეთთან არსებული სასაზღვრო ტოპონიმიკის გამოვლენა. პირველად დეტალურად შესწავლილ იქნა სასაზღვრო ტოპონიმიკის შემცველი საბუთების შინაარსობრივი ასპექტები. გარდა წერილობითი წყაროებისა და ტოპონიმიკისა, ზემო სვანეთის ისტორიული გეოგრაფიის დადგენაში უმნიშვნელოვანესია თავისუფალი მიწისმფლობელობის ფორმების და სხვა ტრადიციული მახასიათებლების თავისებურებების გაანალიზება, რაც ეთნოგრაფიული მასალით არის შესაძლებელი.

სვანეთის წერილობით ძეგლებში, ოთხთავებზე მინაწერ დოკუმენტებში, ტოპონიმიკასა და ეთნოგრაფიულ მონაცემებში თვალნათლივ ჩანს, სვანეთისა და აფხაზეთის საზღვრის სხვადასხვა ეპოქებში მონაცვლეობის ისტორიული სურათი. მიუხედავად ამისა, ადგილზე, ზემო სვანეთ-აფხაზეთის საზღვარზე და დალის ხეობაში ეთნოგრაფიულმა და ტოპონომიკურმა კვლევებმა მეტი მასალა უნდა გამოავლინოს საქართველოს ორი ისტორიული მხარის - სვანეთისა და აფხაზეთის საზღვრების შესწავლა - დაზუსტების საკითხში.

საკვანძო სიტყვები:სვანეთი, აფხაზეთი, ისტორიული საზღვრები, წერილობითი ძეგლები, „თავისუფალი სვანეთი“, ტოპონიმები.

Levan Gvichiani[3]

Sokhumi State University

Toponymic Searches on the Border of Svaneti and Abkhazia[4]

Abstract. The purpose of our paper is to study and analyze the documents containing toponymic information of the border areas of two historical sides of Georgia - Svaneti and Abkhazia: church four-chapters, written references written on lectionary sheets, materials obtained as a result of ethnographic expedition.

The research focuses on the issues of determining the historical borders of Svaneti and Abkhazia, their changes over the centuries, and their relationship in this context. The research revealed new circumstances in the study of the borders of "Free

[3] **Levan Gvichiani**, Phd Student of the Doctoral Program of Georgian History of the Faculty of Humanities of Sokhumi State University.

[4] The report was presented at the second international scientific conference "*Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, History, Social Sciences, Cultural Monuments*" organized by Sokhumi State University and the Korneli Kekelidze National Center for Manuscripts of Georgia, which was dedicated to the 100th anniversary of the birth of academician Mariam Lortkifanidze on 8-8-2022. on December 9.

Svaneti", border toponyms with Abkhazia, land ownership. The references are distinguished by the abundance of toponymic units, which helped us in their localization, onomastic search and specifying the places on the border strip.

The work uses the methods of critical analysis of the source and historical-comparative research. The scientific novelty of the work is based on the study and analysis of the written sources preserved in Svaneti, on the basis of which it was possible to separate the toponymically bounded sources into a separate group and reveal the border toponymy in the northwest of Svaneti with Abkhazia. For the first time, the content aspects of documents containing border toponymy were studied in detail. In addition to written sources and toponymy, it is important to analyze the features of free land ownership forms and other traditional characteristics in determining the historical geography of Upper Svaneti, which is possible with ethnographic material.
In the written monuments of Svaneti, in the documents written on four heads, in toponymy and ethnographic data, the historical picture of the alternation of the border of Svaneti and Abkhazia in different eras is clearly visible. Nevertheless, ethnographic and toponomic studies on the ground, on the Upper Svaneti-Abkhazia border and in the Dali valley, should reveal more material in the issue of clarifying the boundaries of the two historical sides of Georgia - Svaneti and Abkhazia.

Key words: Svaneti, Abkhazia, historical borders, written monuments, "Free Svaneti", toponyms.

ძირითადი კვლევა. სვანური წერილობითი ძეგლების მოძიება და შესწავლა XIX-საუკუნის შუა ხანებიდან იწყება, ამავე პერიოდს უკავშირდება მათი მეცნიერულად დამუშავება და გამოცემა. XIX საუკუნის ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევარებში დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს ჩრდილო - დასავლეთის მთიანეთში, კერძოდ კავკასიონისა და სვანეთის ქედს შუა მოქცეულმა ეთნიკურად ქართველურმა მხარემ სვანეთმა. კავკასიონსა და სვანეთის ქედს შუა მოედინება მდინარე ენგური, რომელიც სათავეს იღებს მწვერვალ შხარიდან და ჩაედინება შავ ზღვაში. ენგური წყალუხვი მდინარეა, მის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებს უერთდება ორივე ქედის მოკლე მდინარეები, რომლებიც რესურსს იღებენ მარად თოვლიანი მყინვარებიდან, მყინვარები კი სვანეთში ოთხია, შხარა, თეთნულდი, უშბა და ლაჰილი, (დღევანდელ ალპინისტურ წრეებში ოთხივე მწვერვალი მსოფლიოში ცნობილია).

სვანეთი სამად იყოფა: *ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი და დალის ხეობა/დალის სვანეთი. ზემო სვანეთი* მდებარეობს მდინარე ენგურის ხეობაში, *ქვემო სვანეთი,* მდინარე ცხენისწყლის ხეობაში, ხოლო *დალის სვანეთი* (მას საბჭოთა ეპოქაში „აფხაზეთის სვანეთიც“ უწოდეს) მდინარე კოდორის ხეობაში, სამივე მდინარე შავ ზღვაში ჩაედინება. სვანეთის სამივე ხეობა ერთმანეთს უღელტეხილებით და გადასასვლელებით უკავშირდება.

ქართული და უცხოური წყაროებით ,მდინარეების ენგურის, ცხენისწყლის და კოდორის აუზში ისტორიულად ყოველთვის ცხოვრობდნენ ქართველური ტომები კრებსითი სახელით სვანები, სიტყვის ფუძე „სვან“. სვანებს გააჩნიათ საკუთარი ენა, რომელიც ენათმეცნიერების მიერ წინარე, პროტოქართველურ ენადაა მიჩნეული, ხოლო დაშორება იმ პეროდის თანამედროვე ქართულსა და წინარე ქართულ-სვანურს შორის უნდა მომხდარიყო ძვ. წ. აღ.-ის II ათასწლეულში, მიზეზი სვანურთან მიმართებაში კარჩაკეტილი ცხოვრება უნდა იყოს. გეოგრაფიულად მთის მკაცრმა პირობებმა და გარესამყაროსთან ხშირმა მოწყვეტამ გამოიწვია სვანური ენის, როგორც ქართულის პირვანდელი სახით შემორჩენა. ძვ. წ. აღ-ის I ათასწლეულში იმ პერიოდის თანამედროვე ქართული ასევე დაცილდა დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველურ ტომთა პროტო-ქართულ მეგრულ-ზანურ-ჭანურ დიალექტს. ერთიანი წარმომავლობის მონათესავე ქართველურ ტომთა და ხალხთა, ასევე ერთიანი წარმომავლობის სამ (ქართული, მეგრულ - ჭანური და სვანური) ენაზე მეტყველებამ, რომლებიც არცერთ სხვა ენასთან ნათესაობას არ ავლენს და თავისთავადია, ჩამოაყალიბა მყარად არგუმენტირებული, დასაბუთებული მეცნიერული აზრი, რომ ქართული ენა, თავისი სამი განშტოებით, ცალკე ენობრივ ჯგუფს განეკუთვნება სახელწოდებებით „ქართველური ენები“ და შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში.

წერილობითი ცნობები სვანეთის შესახებ ანტიკური ხანიდანაა შემორჩენილი. სვანები პირველად *სტრაბონთან (ძვ. წ. აღ-ის 64-ახ.წ. აღ-ის 24)*- მოიხსენებიან (სოანას/შოანას). მაშინაც ისინი კაკასიის მთებში ცხოვრობდნენ. სვანები ადრიდანვე განსახლებულნი იყვნენ აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში - თერგსა და ყუბანს შორის არსებულ ტერიტორიებზე. სტრაბონის მიხედვით, სვანები გამოირჩეოდნენ სიმამაცით და დიდი ფიზიკური ძალით. სტრაბონის ცნობითვე, სვანებს ჰყავდათ ბასილევსი და 300 მამაკაცისგან შემდგარი საბჭო; საჭიროების ჟამს გამოჰყავდათ 200000 - კაციანი ლაშქარი. თ. ყაუხჩიშვილის თარგმანში ვკითხულობთ: სვანების ქვეყანაში „ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ ოქროს დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე“ (ყაუხჩიშვილი, 1957: 126; ყაუხჩიშვილი, 1976: 139-144).

კლავდიოს პტოლემაოსის (ახ. წ. აღ.-ის 100-178) თქმით „სუანო-კოლხები ცხოვრობენ ჰენიოხებსა და მდინარე კორაქსს (ბზიფს) შორის“. დაახლოებით ამ ადგილებში *არიანე* და სხვა ავტორები სანიგებს ასახელებენ (ყაუხჩიშვილი, 1976: 160-162). *პტოლემაოსის* სახელმძღვანელო ძირითადად

მიჰყვება ფსევდო - სკილაქსს, არიანესა და პლინიუსს (ყაუხჩიშვილი, 1976: 164); ბუნებრივია, ის იცნობს სტრაბონსაც.

პლინიუსის (ახ. წ. აღ.-ის 62-113) მიხედვით, სვანები დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ: „მდინარე ხობი კავკასიის მთებიდან ჩამომდინარეობს და სვანეთის მიწაზე დის“.

პრისკე პანიონელი (V ს.): „დიდი უთანხმოება ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებსა და ლაზებს; სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემატის წინააღმდეგ“ (გეორგიკა, 1961: 261).

პროკოპი კესარიელი (VI ს.): „მარტო ეს ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სვიმნიაცა და სვანიაც და, ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“ (გეორგიკა, 1965: 20).

აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) ვრცლად მსჯელობს მისიმიელთა შესახებ; მისი ცნობით, ეს ხალხი კოლხთა მეფის ქვეშევრდომია, მსგავსად აფსილებისა, ოღონდ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს. ისინი აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთით. აგათია სქოლასტიკოსს *მისიმიელები* მიაჩნია კოლხთა და აფსილთა ნათესავად. ს. ყაუხჩიშვილის ლოგიკური ვარაუდით, მისიმიელები/მისიმიანები სვანური ტომია (გეორგიკა 1936: 86, 161-162; 172; 347-348).

მენანდრე პროტიქტორი (VI ს.), რომელიც, აღწერს რა ბიზანტიისა და სპარსეთის დავას სვანეთის გამო, ვრცლად იძლევა სვანთა დახასიათებას (გეორგიკა 1936: 213-233); მისი ცნობით, სვანები კავკასიის მთების გარშემო ცხოვრობენ (გეორგიკა, 1936: 231). სვანებს კავკასიონის სტრატეგიული გადასასვლელები ეჭირათ, ვინაიდან ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დიდხანს გრძელდებოდა წინააღმდეგობა სვანეთის დანარჩუნებისათვის (გეორგიკა, 1936: 213-233).

ზემოთ ნახსენები ანტიკური პერიოდის ავტორების მიერ წერილობით წყაროებში სვანეთის აღწერამ ცხადყო, რომ დაინტერესება ბერძენთა, რომაელთა და ბიზანტიელთა მხრიდან გამოწვეული იყო რამდენიმე ფაქტორით: პირველი, *სტრაბონის* მიერ ნახსენები ოქრო, რომლის მასშტაბურობა ავტორს განმტკიცებული აქვს ცნობილი მითით არგონავტების შესახებ. მეორე, *მენანდრე პროტექტორის* მიერ ნახსენები სტრატეგიული გადასასვლელები კავკასიონზე სამხრეთიდან ჩრდილოეთით. აქ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამ გადასასვლელებს სავაჭრო გზის დატვირთვაც ჰქონოდა. ჩვენი თემისთვის ასევე საინტერესოა სვანთა მმართველობის სისტემა, რომელზეც ცნობებს ისევ *სტრაბონი* გვაწვდის და ახსენებს 300 კაციან საბჭოს, რომელთაც ჰყავდათ ბასილევსი. რადგან ჩვენი კვლევა სვანური სა-

მართლის ისტორიასაც ეხება და სვანებს საბჭო ჰყავდათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა გადაწყვეტილებას საბჭო იღებდა, ხოლო ბასილევსი, რომელსაც სტრაბონი ახსენებს უფრო ტომის ბელადი უნდა ყოფილიყო, შეზღუდული უფლებებით. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების გარდა, საბჭო საკანონმდებლო საქმიანობასაც ეწეოდა და აწესრიგებდა ტომის ადათ წესებს, მათ შორის ჩვეულებით სამართალს. შუა საუკუნეების დასაწყისში, VI საუკუნეში, *აგათია სქოლასტიკოსი* ახსენებს *მ ი ს ი მ ი ე ლ თ ა* ტომს, განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკეს და აფსილთა ჩრდილოეთით მცხოვრებთ, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილი სვანურ ტომად მიიჩნევს, მათი ისტორიულ-გეოგრაფიული არეალი ემთხვევა დღევანდელ კოდორის ხეობას და აფხაზეთ-სვანეთის მოსახლეობის ძირძველ წინაპრებად მოიაზრებიან. ამ მოსაზრებას დაეთანხმნენ სხვა ისტორიკოსებიც (გეორგიკა, 1936: 277-280; მიბჩუანი, 1989: 128-145). შუა საუკუნეებში, სვანეთის ყოფა-ცხოვრების, ისტორიის შესახებ არსებობს რამდენიმე წერილობითი ცნობა, რომელთა ტექსტები განთავსებულია ქრისტიანული წმინდა წერილის ოთხთავთა აშიებზე და თავისუფალ გვერდებზე მინაწერ წერილობით წყაროთა სახით (რომელთა პუბლიკაციები და სამეცნიერო კვლევა - ძიებანი იწყება XIX საუკუნიდან).

ცალკე განხილვის თემაა პირველი პოლიგრაფიულად გამოცემული და მეცნიერულად შესწავლილი წერილობითი ცნობა „წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადახდაზე“, რომელმაც საფუძველი დაუდო სვანური წერილობითი ძეგლების შესწავლას, რაზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ. ცალკე წერილობითი ძეგლების ჯგუფს წარმოადგენს *„სვანური საოჯახო საგვარეულო მოსახსენებლები და მატიანე სუანეთისა კრებისაი“* (სილოგავა, 1986: 248). ასე იქმნებოდა სხვადასხვა წერილობითი საბუთები, რომლებიც სვანეთის წერილობით წყაროებს წარმოადგენს. ამჯერად შემოვიფარგლებით საბუთების იმ ეპიზოდური ტექსტის ციტატებით, სადაც ნახსენებია სვანეთის ისტორიული საზღვრები და თითოეულ საბუთს წარმოვადგენთ სათაურების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

XIII-XIV სს. მიჯნა. დაწერილი სვანეთის ერთობილი (ხ)ევის ერთობისა და გაუყრელობისა - „დაუწერეთ და დავიდევით ჩვენ ერთობილმან (ხ)ეუმან *ლ ა ლ ვ ე რ ს* შემოღმართ და *უ შ ქ უ ლ ს* ჩამოღმართ, ერთმანერთისა ნდომითა, მტკიცე და უქცეველი“ (ინგოროყვა, 1941: ტექსტები N4; სილოგავა, 1986: 105).

XIII-XIV სს. მიჯნა. დაწერილი (ხ)ევის სამაგრობელი ერთობილი სვანეთის ხევისა -„ჩვენ (ხ)ევმან ერთობილმან *უ შ გ უ ლ ს ა* და *ლ ა ლ ა უ ვ ე რ ს ა* შუვა ყოველმან“ (ინგოროყვა, 1941: ტექსტები N4; სილოგავა, 1986: 106).

XIII-XIV სს. მიჯნა. დაწერილი ერთობილი (ხ)ევისა ლარველსა და უშგულს შუა „დაუწერეთ და დუდევით ჩვენ ხევმან ერთობილმან *ლ ა რ ვ ე რ ს ა* და *უ შ ქ უ ლ ს* შუამან“ (ინგოროყვა, 1941: ტექსტები N5; ხარაძე, 1953: 166; სილოგავა, 1986: 110).

XIV ს. შუა ხანები. დაწერილი ერთობილი (ხ)ევისა ბენდან ვახთაგიანის მიერ სეტის (ხ)ევის შვილად ავანის საქმეზე - „დაგიწერეთ და მოგახსენეთ თქვენ ვახთაგიანსა ბენდანსა და შენსა ცოლსა მარიამს ჩვენ ერთობილმან *ლ ა ლ ვ ე რ ს* და *უ შ ქ უ ლ ს* შუამან (ხ)ევმან“ (ნიჟარაძე, 1904: 60; Хаханов, 1904: 29; ინგოროყვა, 1941: ტექსტები N2-ა; ხარაძე, 1953: 172-173; სილოგავა, 1986: 117).

XIV ს.II ნახევარი. დაწერილი ქვეყნის სამაგრობელი სრულიად სვანეთის (ხ)ევისა -„დავდევით დაწერილი ესე სრულად სვანეთის (ხ)ევისა - *ვ უ შ ქ უ ლ ს ა* და *ლ ა ლ ვ ე რ ს* შვა სამაგრობელი ჩვენ, ერთობილმა ხევმან“ (ნიჟარაძე, 1904: 59; Хаханов, 1904: 28; გაბლიანი, 1925: 45-46; ინგოროყვა, 1941: ტექსტები N1; ხარაძე, 1953: 171; სილოგავა, 1986: 107).

XV ს. დაწერილი ერთობილი სუანეთის (ხ)ევისა მებეგრეებისადმი - „დაგიწერეთ და გიბოძეთ დაწერილი ესე მტკიცე და უქცეველი ჩუენ (ხ)ევმან ერთობილმან *ლ ა ლ ვ ე რ ს ა* და *უ შ კ უ ლ ს* შუა“ (ნიჟარაძე, 1904: 50; Хаханов, 1904: 25; გაბლიანი, 1927: 74-75; ინგოროყვა, 1941: ტექსტები N18ა; ხარაძე, 1953: 174; სილოგავა, 1986: 112).

XV ს. დაწერილი საგმობი ერთობილი სვანეთის ხევისა - „დედისა ღმრთისა უშგულისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა დაუწერეთ საგმობი ესე ერთობილმან სვანეთისა (ხ)ეუმან, *ა ტ კ ვ ე რ ს ა* და *ბ ე ლ ა ს* შვამან, ყოველმან ერთმანერთისა ნდომითა, ამა პირი ზედა“ (ნიჟარაძე, 1904: 49-50; Хаханов, 1904: 25; გაბლიანი, 1925: 44-45; ინგოროყვა, 1941: ტექსტები 29; ხარაძე, 1953: 166; სილოგავა, 1986: 109).

XV ს. დაწერილი მეჭურჭლე მიქაელ კუჭაისძისა ბალს ზემო სვანეთის (ხ)ევისადმი -„მე კუჭაისძემან მიქაელ და ჩემან ძმისწულთა და ჩემან შვილმან ცოტნე და გიგიამან, შვილთა და მომავალთა ჩემთა თქვენ (ხ)ევსა *ბ ა ლ ს* ზემოცა და *ა ტ კ ვ ე რ ს* ქვემოთაცა მას ჟამსა ოდეს სეტიას მოვედი“, იქვე „თქვენი ხელი და მეჭურჭლეობა, რაიცა მთავარმოწამისთვის შემომიწირაუს, თქუენ, (ხ)ეუსა დაგრჩომოდეს ბალს ზემოთაცა და ატკვერს ქვემოთაცა, თუ ესე ასე არ გავათაოთ“ (ინგოროყვა, 1941: N30ი; ხარაძე, 1953: 174; სილოგავა, 1986: 119).

ზემოთ მოცემული საბუთების ფრაგმენტებში საზღვრებს თუ დავაკვირდებით, „თავისუფალი სვანეთის“ საზღვრად ჩრდილო - აღმოსავლეთით XIII, XIV, XV საუკუნეებში დასახელებულია ისტორიული სოფელი უშგული, ხოლო დასავლეთ საზღვრად - ლალვერი, რომლის ერთ-ერთი განმარტებაც ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შემდეგნაირად გვხვდება: „ლალვერი-მწვერვალი საქართველოსა და რუსეთის საზღვარზე. მდებარეობს სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე სიმაღლე 4350 მეტრი“, იქვე: „მისასვლელი გზაა სამხრეთიდან წანერის მყინვარით, მდინარე ენგურის აუზი, ჩრდილოეთიდან ბეზენგის მყინვარით, მდინარე ბეზენგის ჩერეკის აუზი“ (ენციკლოპედია, 1983: 113).

თუ დავაკვირდებით უშგულსა და ლალვერს შუა მდებარე ადგილებს, აღმოჩნდება, რომ ისტორიულად დასახლებული სოფლები აცდენაშია და უფრო სამხრეთ - დასავლეთითაა საგულვებელი, რის გამოც შეიძლება ეჭვის შეტანა მწვერვალ ლალვერის საზღვრად მიჩნევაში და სხვაგან, უფრო დასავლეთით უნდა ვეძებოთ. ეს, არაა გამორიცხული, რადგან სვანეთში ტოპონიმები ხშირად მეორდება სახელწოდების ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება ადგილის ბუნებრივი მახასიათებლის მიხედვით. ლალვერი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზღვრის აღმნიშვნელი ტოპონიმია და მეორდება სვანეთის სხვადასხვა ისტორიულ ადგილებში. ის, რომ სვანეთში, ოთხთავების არშიებზე, მინაწერ წერილობით წყაროებში, „თავისუფალი სვანეთის“ აღმოსავლეთით ნახსენებია უშგული და დასავლეთით, ერთიანი სვანეთის საზღვრად ლალვერი, ეჭვს არ იწვევს, თუმცა დღემდე გაურკვეველია დასავლეთით ლალვერის მდებარეობა და ეს საკითხი ღიადაა დარჩენილი. ჩვენი აზრით, მართებული იქნება ამ საკითხის კვლევაში ჩავრთოთ ამბაკო ჭკადუას მიერ გასული საუკუნის 60-70 წლებში შეგროვილი სვანური ტოპონიმიკა, რომელიც წიგნად 2020 წელს გამოიცა (ჭკადუა, 2020) და საინტერესო დოკუმენტურ ცნობებს იძლევა სვანეთის ონომასტიკის შესახებ.

ა. ჭკადუა ტოპონიმ ლალვერზე რესპოდენტებზე დაყრდნობით, შემდეგ ჩანაწერებს აკეთებს: *ლ ა ლ უ (ვ) ე რ* - გორა (ნაკი) ნაკრას მარცხენა კალთაზე, ენგურის მარჯვენა მხარეზე, ნაკრის ხიდიდან ლაჯურღულამდე სამანქანო გზის მიდამო. „ლალვერ“ ერქვაო სვანეთის დასაწყისს: „მაგ როქ ხოჩამდ ირიხ უშკულიშ ი ლალვერიშ უშხვარ ნენსგა“ (ჭკადუა: 2020: 222) („ყველაფერიო კარგად იქნებაო უშკულის და ლალვერის ერთნანეთს შუა“., სვანური ტექსტის ქართული თარგმანი - ლ. გვიჩიანი).

ლ ა ლ უ (ვ) ე რ - სათიბი (ნაკი), ნაკრას მარცხენა მხარე, ლაწომბას ჩრდ-აღმ., სათიბ ცხეკუანის ჩრდ-აღმ. ფოთლოვან ტყეში (ჭკადუა: 2020: 222).

ლალ უ (ვ) ე რ - სათიბი (იფარი), ს. იფარის აღმ. მდ. ჰადიშის ქალა(ი)ს ხეობაში, ვაკე ნარევი ადგილია, კარგი სათიბებით. სვან. „ღარალი ხარ ცხეკარი ეზარ ხარხ“ (ჭკადუა: 2020: 222) („ღარები აქვს ტყეც კარგი აქვს“., სვანური ტექსტის ქართული თარგმანი - ლ. გვიჩიანი).

ლ ა ლ უ (ვ) ე რ - ყანა (ცალდაში) ს. ცალდაშშია, დასახლების აღმ., კაჩარის მოსაზღვრედ. ნასაყდრალია, სადაც ლოცულობდნენო: იცირ-კუიცირ, ჯარ ლალუერიშ თანაფა თახალადეღ- იცოდნენო (ჭკადუა: 2020: 222). („იცირ-კუიცირ გაქვს ლაუერის“, აღდგომის სამშაბათს იცოდნენო. სვანური ტექსტის ქართული თარგმანი - ლ. გვიჩიანი).

ლალუ(ვ)ერ - ყანა (ჟაბეში, ცალდაში), ს. ჟაბეშშია, ტუ(ვ)იბრას მარცხენა მხარეზე, ნაკრაშია (ჭკადუა: 2020: 223).

ლალუ(ვ)რ - სათიბი (იფხი, იფარი, ნაკი), ტებდიაშის მთის მიდამოებში. იყოფა ჟიბე და ჩუბეშ ლალუვერ-ად, საქონლის საყვარელი ადგილია. (ლიურე-შდრ. ლაურა) (ჭკადუა: 2020: 223).

ლალუ(ვ)ორალ - კლდე, ფერდობი (ჟაბეშში), მდ. წანერ(უ)ლას მარცხენა კალთის კლდეები, სანადირო, მიწიანი ფერდობებია. ჩრდ.-ის მხარეა, საჩრდილობელი. შდრ. უოროუ „ჩრდილი“ (მეგრ. ორო?) (ჭკადუა: 2020: 223). ამბაკო ჭკადუას ჩანაწერები სანდოა, რადგან ტოპონიმები იმ ადგილებში, სადაც რესპონდენტები აღწერენ, დღესაც უცვლელი სახელწოდებებით გვხვდება და მტკიცდება, რომ *ლალვერი* სხვადასხვა ადგილებში საზღვრის სახელწოდებად ხშირად გვხვდება, ასევე ჩრდილის აღმნიშვნელიცაა და ჩვენი აზრით, ჩრდილოეთის საზღვრებისთვისაა დამახასიათებელი.

ჩვენთვის საინტერესოა *ლალვერის* სემანტიკური მნიშვნელობა, სადაც *ვ ე რ* სვანურად მიწას ნიშნავს და საზღვრის აღმნიშვნელ კონტექსტში მისი ტოპონიმიკური თავისებურება გასაგებია. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ სვანეთის სამხრეთ დასავლეთით, ენგურის მარჯვენა სანაპიროს უკიდურესი დასახლებული პუნქტი ნაკრის და ჭუბერის მარჯვენა მხარეს არსებული ტოპინიმიკური ერთეული *ლ ა ლ ვ ე რ ი* სამხრეთ-დასავლეთიდან საწყისია სვანეთის დასახლებული სოფლებისა და სვანურ მინაწერ საბუთებში სწორედ ამ ფაქტის გამო იხსენიება ლალვერსა და უშქულს შუა ერთიანი სვანეთი. ამგვარად, დალის ხეობასთან, იგივე აფხაზეთის სვანეთთან ზემო სვანეთის საზღვარი ჭუბერის უღელტეხილით შეგვიძლია განვსაზღვროთ.

ჩვენი აზრით, მწვერვალი ლალვერიც მართებულად უნდა მივიჩნიოთ „თავისუფალი სვანეთის“ ერთ-ერთ საზღვრად, მიუხედავად მისი უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარეობისა. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ მის მნიშვნელობას, რომ ლალვერი საზღვარია ყაბარდო-ბალყარეთთან (ამჟამად დე-

ფაქტო რსფსრ), ისტორიულად ბალყარეთთან, სადაც გადის ასევე იმ პერიოდისთვის უმნიშვნელოვანესი, ჩრდილოეთში გადასასვლელი ორი გზა, უღელტეხილით *წანერი*, რომლითაც სარგებლობდნენ სვანეთის სოფლების კალას, ადიშის, იფარის და მულახის თემების მოსახლეობა, იქვეა *მესტიის უღელტეხილი,* თუმცა ასევე მესტიის, ლენჯერის და ლატალის მოსახლეობა, უფრო *წანერის გადასასვლელებს* ამჯობინებდა უკეთესი გზის გამო. მოსახლეობა ყაბარდოდან უფრო იოლად გადადიოდა ოსეთში, აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ შხარის მწვერვალიდან, რომლის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს სოფელი უშგული და საიდანაც სათავეს იღებს მდინარე ენგური, უწყვეტი 12 კილომეტრიანი ტრავერსია მწვერვალ ლალვერამდე, რომელსაც ასევე ბეზენგის კედელსაც უწოდებენ.[5] გამოდის, რომ სვანეთი უშგულიდან ლალვერამდე, კავკასიონის ქედით, ჩრდილოეთიდან ლაშქრობებისგან დაცულია, ლალვერთან ორი გადასასვლელი უღელტეხილია, ერთი წანერი და მეორე მესტიის, ხოლო შემდეგი მონაკვეთი მესტიიდან ბეჩოს უღელტეხილამდე გადასასვლელი გზები არ გვხვდება, ბეჩოდან კი ნაკრას უღელტეხილამდე და სვანეთიდან ჩრდილოეთში გადასასვლელი უღელტეხილი მთავრდება აფხაზეთ-სვანეთში დალის უღელტეხილით. ამ გადასასვლელებიდან უმთავრესი წანერის და მესტიის უღელტეხილებია და ორივე მწვერვალ ლალვერთან მდებარეობს, ამ გზებით სვანები მიმოდიოდნენ ყაბარდო-ბალყარეთსა და ოსეთში ანუ ჩრდილოეთის კარიბჭე ლალვერთანაა, საიდანაც ომიანობის დროს ყველაზე მეტი საშიშროებაც მოდიოდა. ლაშქრობების შესახებ, რომელსაც ჩრდილოელები აწყობდნენ სვანეთში, ან პირიქით, მხოლოდ გადმოცემებით და ხალხში ზეპირსიტყვიერი წყაროებით ვიცით, უფრო შემორჩენილია ეთნოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, მრავალფეროვანია არქეოლოგიური მონაპოვრებიც, თუმცა სვანური წერილობითი წყაროები, მწირ ინფორმაციას მაინც იძლევიან ოსებთან ურთიერთობის შესახებ, სავაჭროდ და საშოვარზე წასვლის ფაქტები ხშირად ირიბადაა მოთხრობილი სხვა ამბების გვერდით. სალაშქროდ წასვლის შესახებ წერილობითი ცნობები საერთოდ არ არის. ის რომ სვანეთში თითქმის ყველა ეკლესია ჩრდილოეთიდან შემოსული მარბიელი

---

[5] *ბეზენგის კედელი* - ცენტრალური კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ყველაზე მაღალი, 12 კმ. სიგრძის მონაკვეთი. აღმართულია კედლის მსგავსად ბალყარეთსა და სვანეთს შორის. ბეზენგის კედელს საქართველოში ხალდეს კედელსაც უწოდებენ. ბეზენგის კედელზე გაშიშვლებულია კავკასიონის კრისტალური გულის ქანები - ნაცრისფერი გრანიტოიდები, რომლითაც აგებულია ბეზენგის კედლის უმაღლესი მწვერვალები: ლალვერი (4350 მ.), გისტოლა (4860 მ.), კითინთაუ (4970 მ.), ჯანღა (5040 მ.), შოთა რუსთაველის მწვერვალი (4960 მ.), შხარა (5058 მ.), მათ შორის 4100-4400 მ. სიმაღლის უღელტეხილებია (ენციკლოპედია, 1977: 267).

ლაშქრობების შედეგადაა გაძარცული, ეკლესიების და ჯვარ-ხატების აღწერისას აღნიშნავს ექვთიმე თაყაიშვილი 1910 წელს ჩატარებული ექსპედიციის დროს (თაყაიშვილი, 1937).

XIII საუკუნიდან იწყება საქართველოში მონღოლთა ლაშქრობები, მათმა დაპყრობებმა მნიშვნელოვნად შეარყია ქვეყნის ერთიანობა, საქართველოს განუდგნენ ყმადნაფიცი, მოხარკე ქვეყნები, მათ შორის იმიერკავკასიის სამეფოები, ქაშაგეთი, ალან-ოსეთი, დურძუკეთი, ღუნძეთი და ლეკეთი. ამ პერიოდისთვის სვანეთის ჩრდილოეთით ყაბარდო-ბალყარეთი ოსეთის შემადგენლობაში შედის და ალან-ოსების სამეფო ძლიერ ერთეულადაა ჩამოყალიბებული. სვანური წერილობითი ძეგლები რამდენჯერმე ახსენებენ ოვსეთს, როგორც ჩრდილო მეზობლების კრებსით სახელს. ქვეყნის სიძლიერის მოშლამ, ალან-ოსებს საშუალება მისცა საქართველოს ყმადნაფიცობიდან გასვლისა და სვანეთს, ჩრდილოეთიდან შეექმნა მარბიელი ლაშქრობების საფრთხე, რამაც განაპირობა ჩრდილო-კავკასიის გადმოსასვლელების დაცვისა და გამაგრების აუცილებლობა. ყველაზე დიდი საფრთხე მწვერვალ *ლალვერთან*, ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ *მესტიის* და *წანერის* უღელტეხილებზე იქმნებოდა.

XV საუკუნეში, ერთობილი ხევის საზღვრების ფორმულირება *„უშგულსა და ლალვერს შუა“* იცვლება *„ატკვერსა და ბალს შუა“* ფორმულირებით. ტოპონიმი ატკვერი უშგულის აღმოსავლეთით, უშგულსა და ზაგაროს უღელტეხილს შორის მდებარეობს, ის დღესაც უშგულელების სათიბი მთაა, დასახლების ნიშნები არ მოიპოვება.

რაც შეეხება *ბაალს*, ის მდებარეობს სოფელ ლატალის ჩრდილო დასავლეთით და ტერასისებურ პლატოს წარმოადგენს 50 ჰექტარამდე, 3 კილომეტრზე მეტი გრძივი ფორმის სათიბით, რომელსაც ჩრდილო - დასავლეთიდან სწორხაზოვნად მიჰყვება ლეზგარას გორაკი ფოთლოვანი ტყით. მის უკიდურეს ჩრდილოეთით დგას ბაალის წმინდა გიორგის ეკლესია, საძირკვლამდე დანგრეული, რომლის შემოგარენსაც არქეოლოგ შოთა ჩართოლანის ხელმძღვანელობით 1993 წელს ჩაუტარდა არქეოლოგიური დაზვერვითი გათხრები, სადაც აღმოჩნდა ადრე ფეოდალური ხანის კერამიკული ნაწარმი ორნამენტებით (ექსპედიციის მასალები დღესაც გამოუქვეყნებელია). ადგილობრივების მიერ (ბაალის სათიბებს ფლობენ შემდეგი გვარები: გვიჩიანი, ნანსყანი და ივეჩიანი) ზეპირი გადმოცემით ლეზგარას გორაკი სიგრძეში იმდენად მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რომ „დასახლების ერთი კიდედან მეორე კიდემდე, ბაალის წმინდა გიორგის ეკლესიიდან, წეფლის წმინდა გიორგის ეკლესიამდე, ციკანი სახლების სახურავებზე ისე ჩაირბენდა მიწაზე ფეხს არ დაადგამდაო“, ამ გადმოცემის საფუძვე-

ლზე ექსპედიციამ (შ. ჩართოლანი, მ. ცინდელიანი, ლ. გვიჩიანი) ჩაატარა დაზვერვითი სამუშაოები, რამაც გამოავლინა მიწის ზემოთ ჯერ კიდევ შემორჩენილი საცხოვრისი კედლების ნარჩენები, კედლების ფრაგმენტები წყვეტილად სამი კილომეტრის სიგრძეზე გამოვლინდა. შემდეგი არქეოლოგიური ექსპედიცია სხვადასხვა მიზეზებით ვერ შედგა და ვფიქრობ არქეოლოგებისთვის დღესაც მრავალმხრივ საინტერესო საკვლევ ობიექტს წარმოადგენს.

XV საუკუნეში „თავისუფალი სვანეთის“ დასავლეთ საზღვრის, *ლალვერის, ბალით* ჩანაცვლება განაპირობა ბევრმა ფაქტორმა. ერთ-ერთი და მთავარი მიზეზი მიწის ფლობის ფეოდალური დამოკიდებულება და ბატონყმური ურთიერთობის დამკვიდრებაა ბალს ქვემოთა სვანეთში. ამის მტკიცებულება გვაქვს ჩვენ წინმდებარე *„ჯაფარიძეთა სასისხლო“* საბუთის ერთ მონაკვეთში, სადაც სვანი „ჩენილები“ შუამდგომლობას ეცერში დამკვიდრებულ ფეოდალებს რუჩაგიანს და დადაშქელიანს სთხოვენ: *„მივედით ეცერს, რუჩაგიანსა და დადიშკელიანსა შევეხუეწენით* და *დადიანთან გავგზავნეთ“* (სილოგავა, 1986:113-116).

ამგვარად, ფეოდალურ სვანეთსა და „თავისუფალ სვანეთს“ შორის გამყოფმა საზღვარმა *ბაალზე* გაიარა. *ბაალის* საზღვრად მიჩნევა განაპირობა ასევე სვანეთის ისტორიულმა, ძველმა ცენტრალურმა სამიმოსვლო გზამაც, რომელიც უშუალოდ ბაალზე გადადიოდა. აქედან იწყებოდა სოფელი ბეჩი, ფეოდალური სვანეთის, ბოლო, ჩრდილო - აღმოსავლეთის უკიდურესი დასახლებული თემებით, რომელსაც ისტორიულად დადაშქელიანთა ფეოდალური დინასტია განაგებდა (ამას ადასტურებს „ჯაფარიძეთა სასისხლო“ სიგელი). მოგვიანებით, ქართულ ისტორიულ ტრადიციაში დამკვიდრდა ტერმინი *ბალს ზემო უბატონო* და *ბალს ქვემო ბატონიანი* სვანეთი, ასევე *ზემო ხევი* და *ქვემო ხევი*.

სვანეთის წერილობითი ძეგლების მიხედვით, „თავისუფალი სვანეთის“ უკიდურესი საზღვარი დასავლეთით უფრო ადრე XIII საუკუნეში მწვერვალ *ლ ა ლ ვ ე რ ი თ* და გვიან XV საუკუნეში სოფელ *ლ ა ტ ა ლ შ ი* მდებარე სათიბ პლატო *ბ ა ა ლ ი თ* განისაზღვრა. აღმოსავლეთ საზღვარი კი უფრო ადრე XIII საუკუნეში სოფელ *უ შ გ უ ლ ი თ* და გვიან XV საუკუნეში უშგულში შემავალ სათიბ მთა *ა ტ კ ვ ე რ ი თ* განისაზღვრა. ბაალის და ატკვერის საზღვრებში მოექცა შემდეგი დასახლებული მსხვილი სოფლები ლატალი, ლენჯერი, მესტია, მულახი, იელი, წვირმი, იფარი, კალა, ჰადიში, ხალდე, უშგული. ყველა ეს სოფელი ისტორიულად ლატალიდან უშგულამდე, ზემო სვანეთის, ბალს ზემო „თავისუფალ სვანეთად“ უფრო გვიან „უბატონო სვანეთად“ იწოდებოდა.

სვანეთის წერილობითი ძეგლების არცერთ ცნობაში არ გვხვდება ინფორმაცია, რომ *ლაშხეთი*, ზემო რაჭა და რიონის სათავეები „თავისუფალ სვანეთს“ ეკუთვნოდა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ადგილებში სვანები არ ცხოვრობდნენ ან გავლენის სფეროები არ ჰქონდათ. ზემოთ მოცემული ერთობილი ხევის სამაგრობელ საბუთებში ვაწყდებით სვანეთის სოფლების ერთად დგომის ფიცს საერთო მტრის წინააღმდეგ, რაც მტკიცებულებაა, რომ მთის მოსახლეობა არ ეგუება ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამ ბრძოლაში „თავისუფალი სვანეთი“, ცხადია, ზემო რაჭის თავისუფალ თემებს დაეხმარებოდა და მთა ამ საკითხის მიმართ ერთიანი იქნებოდა, თუმცა თავისუფალი საზოგადოება ხშირ შემთხვევაში ავლენს არაორგანიზებულობას. მსგავს საკითხებში საჭირო იყო დამოწმებული შეთანხმებები, რასაც ფიცით ამტკიცებდნენ. ზოგადად, საქართველოში ამ დროს შესუსტებულია მეფის ძალაუფლება, ფეოდალთა თვითნებობამ მთაში დღის წესრიგში დააყენა ხევის ერთიანობის საკითხი, სახევო დიდი მასშტაბის ყრილობების მოწვევა და ფიცი საერთო საქმის ერთგულებისთვის. ასეთ ყრილობებზე გამოიკვეთებოდა სხვადასხვა თემთა მტკიცე კავშირები, შეთანხმებები კი წერილობით ფორმდებოდა იმ სოფლების ჩამონათვალით, რომლებიც ამ ყრილობებში მონაწილეობას ღებულობდა. ეს იმის მანიშნებელია, რომ „თავისუფალ სვანეთს“ დასჭირდა საზღვრების დაფიქსირება, ხშირად მეორდება ამ საბუთებში სიტყვა *„ერთობილი“* ანუ ერთიანი, ასევე სიტყვა *„სამაგრობელი“* ანუ გასამაგრი, შესანარჩუნებელი. ამ საბუთებში არ არის ნახსენები არც ქვემო სვანეთის და არც რაჭის, მთის და ბარის ტოპონიმიკური ერთეულები, რომლებიც მარტო „ჯაფარიძეთა სასისხლო“ სიგელშია ჩამოთვლილი. პირველი შეტაკება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანეთში უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ სიგელის დედანი დაკარგულად ითვლება და ტექსტს დასაწყისი აკლია, თვალნათლივ ჩანს, რომ კონფლიქტი ჯაფარიძეებმა დაიწყეს. კონფლიქტის მიზეზი სვანეთის დამორჩილება და სვანთა გავლენის სფეროების შესუსტება იყო, რაც გამოიხატებოდა ლაშხეთის და ზემო რაჭის თავისუფალი საზოგადოების ერთიანობის შენარჩუნებაში. ამ სიგელით ჯაფარიძეებმა, მართალია მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც მიაღწიეს საწადელს და „თავისუფალი სვანეთის“ იზოლაციაში მოხვედრით გავლენის სფეროები უშგულამდე გაიფართოვეს, რასაც დაემატა ბაჟი სამიმოსვლო გზებზე.

VIII საუკუნიდან იწყება დასავლეთ საქართველოს სამთავროების გამსხვილების პროცესი, რომელიც საბოლოოდ ჯერ აფხაზეთის სამთავროს და შემდეგ აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბებით დამთავრდა. ეგრისის სამეფოსგან განსხვავებით (რომლის საგარეო ვექტორი ბიზანტია გახლდათ - *ლ.*

გ.) აფხაზეთის სამთავრო უფრო დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. თავიდან აფხაზეთის სამთავრო ლეონ I -ის დროს ბიზანტიის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა, თუმცა დასავლეთ საქართველოს მთლიანად დამორჩილების შემდეგ განუდგა ბიზანტიის იმპერატორს და ლეონ II-ის დროს ცალკე, აფხაზთა სამეფოდ იქცა (Анчабадзе: 1959: 60). გამოდის, რომ ეგრისის სამეფომ პოლიტიკურად თავისი თავი ამოწურა, ბიზანტიამ მას გაუუქმა მეფობა, რაც პატრიკოზის (მთავრის) ხელისუფლებით შეცვალა. ამ პერიოდისთვის ასპარეზზე უფრო ძლიერი პოლიტიკური ერთეული გამოჩნდა, რომელმაც შემოიერთა აფშილეთი და მისიმიანეთი (ჯანაშია, 1949: 98-99), ეგრისის სხვა მიწები კი ქართლის ერისმთავარს ეპყრა, რომელიც არაბთა შემოსევებისგან დასუსტებული, იძულებული გახდა მთელი დასავლეთ საქართველო საბოლოოდ აფხაზეთისთვის დაეთმო, მათ შორის სვანებით დასახლებული *სანიგეთის მიწა* (გეორგიკა, 1961: 20; გეორგიკა, 1936; ინგოროყვა, 1965: 142-144). ამ ცნობებით ირკვევა, რომ სვანეთის საერისთავო ჯერ ეგრისის შემადგენლობაში იყო, ხოლო შემდეგ, VIII საუკუნიდან აფხაზეთის შემადგენლობაშია. IX-X საუკუნეებში სვანეთი აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, რასაც ვახუშტი ბატონიშვილიც აღწერს (ბატონიშვილი, 1973: 796; Анчабадзе: 1959: 117-120).

რა ურთიერთობა ჰქონდა სვანეთს აფხაზეთის სამეფოსთან ჩვენთვის უცნობია, ასევე არ მოგვეპოვება ცნობები, თუ რა მმართველობის სისტემა არსებობდა სვანეთში, რომელიც ცალკე საერისთავოს სახით შედიოდა აფხაზთა სამეფოში, მაგრამ სავარაუდოდ, ეს დამოკიდებულება ნომინალური უნდა ყოფილიყო, რადგან სვანეთთან კომუნიკაცია გეოგრაფიული მდებარეობის და რელიეფის გამო უფრო სპეციფიკურია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ადრეფეოდალური ურთიერთობების ნიშნები მიწისფლობის თავისუფალი ფორმის გამო სვანეთში არ იქნებოდა, ამის დასტურია ის, რომ შემდგომ განვითარებული ფეოდალიზმის პირობებში, რომელ პერიოდზეც ცნობები უხვად მოიპოვება, მიწისფლობის თავისუფალი ფორმა უცვლელია, ანუ მისი შეცვლის წინაპირობა, რომელიც ადრეფეოდალურ ხანაში უნდა მომხდარიყო, არ არსებობდა.

ჩვენი დაკვირვებით სვანეთის აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში შესვლას ზემოთ ნახსენები *მისიმიანელების* და *სანიგების* დამორჩილება განაპირობებდა. აქედანაც ჩანს, რომ სვანებით დასახლებული მიწებიდან აფხაზეთთან ყველაზე ახლოს ეს ორი გაერთიანება მდებარეობდა. ცხადია, აფხაზთა სამეფო მათ პირველებს შეიერთებდა.

სვანეთის აფხაზთა სამეფოსან ადაპტირება და საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონი სამეფოს ეგრის-აფხაზთა სამე-

ფოსაც უწოდებდა, უფრო მეტოც, IX-X საუკუნის ზოგიერთ წყაროში, მხოლოდ ეგრისის სახელწოდებითაც მოიხსენებდნენ (დრასხანაკერტელი, 1965: 38; 64; 92; 109; 111; 119; 257), რაც ნიშნავს, რომ ეთნიკური ნიშნით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოება ეგრისის სამეფოში მცხოვრები ხალხითაა წარმოდგენილი, რომელთა იდენტიფიცირებაში დომინანტი ქართველური წარმოშობის ეთნოსია, რომელიც აფხაზეთის სამეფოდ გაერთიანდა, დედაქალაქი კი ქუთაისი გახდა.

ზემო სვანეთის დასახლებული პუნქტები აფხაზეთის სამეფოსგან ასი კილომეტრით იყო დაშორებული. საცხოვრებლად ყოვლად გამოუსადეგი ხევები, მიუდგომელი კლდოვანი რელიეფი, ხშირი ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყის მასივები, სამიმოსვლო გზის პრობლემებს ქმნიდა. სვანეთის და აფხათა სამეფოს საზღვრის უმეტესი ნაწილი ასეთ დაუსახლებელ ქედებზე გადიოდა.

სვანეთს აფხაზეთის სამეფოსთან და მოგვიანებით გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის საერისთავოსთან და სამთავროსთან ისტორიული ურთიერთობა, ცხადია, ინტენსიურად ჰქონდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზემო სვანეთი აფხაზეთის სამეფოში შედიოდა, ამან ასახვა ჰპოვა საზღვრისპირა ადგილებზე ტოპონიმიკურ სახელწოდებებში, კერძოდ, ა. ჭკადუას ტოპონიმიკურ ჩანაწერებში ნახსენებია ადგილი: *„აფხზარ ნაშდუღ გორაგ“* („აფხაზთა ნამარხი გორა“, ხაზგასმა და სვანურიდან ქართულად თარგმნა - ლ. გვიჩიანი) - სათიბ-საძოვარი (მესტია, ჭუბერი, ყარი), მთა *შაულურას* ჩრდ. მიმართულებით, სადაც გზა თეთნაშერასა და დეურას უერთდება. მაღლობია დაახლოებით 1780,5 მ. შიშველი საძოვარიცაა, სათიბიც. კვალი ნამარხისა არ ჩანს. მდ. თეთნაშერასა და მდ. დეურულას შორის“ (ჭკადუა, 2020: 18). ეს ტოპონიმი გვაუწყებს აფხაზთა სამარხზე, რომელიც საზღვარზეა, თუმცა რა სახის სამარხია არ ვიცით. ჩვენთვის საინტერესოა ა. ჭკადუას კიდევ ერთი ჩანაწერი: *„აფხზარე ნენზილდარ“* („აფხაზთა სოჭები“, ხაზგასმა და სვანურიდან ქართულად თარგმნა -ლ. გვიჩიანი) - საძოვარი (მესტია, ნაკრა), ნაკრას მარჯვენა კალთაზეა, საძოვარ ჟახურა ჭალას ჩრდ.-აღმ. ნენზილდარ (სოჭი) ხაგხ, გზას მიმავალი აფხაზების სადგომი ყოფილა“ (ჭკადუა, 2020: 19).

ჩვენს მიერ მოყვანილი წერილობითი და ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებენ, რომ *ზემო სვანეთის, ქვემო სვანეთის* და *დალის ხეობა/დალის სვანეთის* სასაზღვრო ზოლში, განსაკუთრებით დალის ხეობაში, ადგილზე ეთნოგრაფიულმა და ტოპონომიკურმა კვლევებმა მეტი მასალა უნდა გამოავლინოს საქართველოს ორი ისტორიული მხარის - სვანეთისა და აფხაზეთის საზღვრების შესწავლა - დაზუსტების საკითხში. მიუხედავად ამისა,

კვლევის ამ ეტაპზეც, სვანეთის წერილობით ძეგლებში, ოთხთავების არშიებზე მინაწერ დოკუმენტებში, ტოპონიმიკასა და ეთნოგრაფიულ მონაცემებში თვალნათლივ ჩანს, სვანეთისა და აფხაზეთის საზღვრის, სხვადასხვა ეპოქებში მონაცვლეობის ისტორიული სურათი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბატონიშვილი (1973) ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსი საქართველოსა, წიგნში: „ქართლის ცხოვრება“, ტომი IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, გამომც. „საბჭ. საქართველო“, თბილისი.

გაბლიანი (1925). ეგნატე გაბლიანი. ძველი და ახალი სვანეთი. „სახელმწიფო გამომცემლობა“, ტფილისი;

გაბლიანი (1927). ეგნატე გაბლიანი. თავისუფალი სვანეთი. ტფილისი, გამომცემლობა „სახელგამი“;

გეორგიკა (1961). გეორგიკა: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“;

გეორგიკა (1965). გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ : ტომი II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“ , თბილისი;

გეორგიკა (1936) გეორგიკა. გეორგიკა - ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ - ტომი III - ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი;

დრასხანაკერტელი (1965). იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია (786-925 წწ.). სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტი. თბილისი;

თაყაიშვილი (1937). ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი;

ინგოროყვა (1941). პავლე ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი 2. ტექსტები. თბილისი;

ინგოროყვა (1965). პავლე ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა: ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის,

კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;
მიბჩუანი (1989). თეიმურაზ მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსაზღვრისა და კულტურის ისტორიიდან. თსუ გამომცემლობა, თბილისი;
ნიჟარაძე (1904). ბესარიონ ნიჟარაძე. სვანეთის ხელნაწერები, თბილისი;
სილოგავა (1986). ვალერი სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები, X-XVII სს. ტ. I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები. გამომც. „მეცნიერება“, თბილისი;
ენციკლოპედია (1983) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6. თბილისი;
ყაუხჩიშვილი (1976). თინათინ ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.წიგნი გამომც. „მეცნიერება“, თბილისი;
ყაუხჩიშვილი (1957). თინათინ ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია: ცნობები საქართველოს შესახებ, „საქ. სსრ მეცნ. აკად.სტ-ბა“, თბილისი;
ჭკადუა (2020). ამბაკო ჭკადუა. სვანური ტოპონიმიკა. გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს რ. ჭკადუამ, ე. გაზდელიანმა, ლ. გიგლემიანმა, მ. საღლიანმა, ნ. შავრეშიანმა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი;
ხარაძე (1953). რუსუდან ხარაძე. სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის. VI. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი;
ჯანაშია (1949). სიმონ ჯანაშია. შრომები. I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი;
Анчавадзе (1959). Зураб Анчавадзе. Из истории средневековой Абхазии.Абгосиздат, Сухуми.
Хаханов, 1904: А.С. Хаханов. Сванетския рукопысния евангелия, წიგნში: Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества. Вып. 10. 1904. Москва, გვ.10-40; იხ. ელექტრონული ვერსია http://elib.shpl.ru/ru/nodes/24484-vyp-10-po-ezdka-v-pshaviyu-hevsuretiyu-i-svanetiyu-grafini-uvarovoy-1904#mode/-inspect/page/387/zoom/4 (ბოლო ნახვა 2002. 16. 12).